საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/26

ქ. ბათუმი 04 აპრილი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების თანდართული წესი (დანართი 1).
2. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების აღრიცხვის ჟურნალის თანდართული ფორმა (დანართი 2)
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებას.
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 9 აგვისტოს N01-11/58 ბრძანების ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.
5. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 5 აპრილიდან.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესის
დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2016 წლის 04 აპრილის ბრძანების **დანართი 1**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის ქ. N32) დაიშვას მხოლოდ ბსუ-ს საკუთრებაში არსებული და ბსუ-ს ადმინისტრაციაში მოწვეული სტუმრების ავტოსატრანსპორტო საშუალებები.
2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ (საჭიროების) შემთხვევაში, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაიშვას საპოლიციო, სახანძრო, სასწრაფო დახმარების, საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ან/და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ავტოსატრანსპორტო საშუალებები.
3. უნივერსიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიზნით, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაიშვას ასევე შპს ,,ბათუმის წყალის", შპს ,,საქართველოს ფოსტის", სარემონტო-საპროექტო სამუშაოების მწარმოებელი და სხვა მომსახურების ავტოსატრანსპორტო საშუალებები.
4. ამ წესის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურის პერსონალი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე გადაწყვეტილების მიღებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
5. წინამდებარე წესის მე-2, მე-3 პუნქტების შესაბამისად ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების ყოველი შემთხვევა რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში შემდეგი მონაცემების მითითებით: რიგითობა; თარიღი/დრო; ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მესაკუთრე; მძღოლი; შემოსვლის მიზანი, შენიშვნის და დაცვის თანამშრომლის ხელმოწერის გრაფა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაშვების წესის
დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2016 წლის 04 აპრილის ბრძანების **დანართი 2**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარიღი	დრო	ა/სატრანსპორტო საშუალება				ვიზიტის მიზანი/ დანიშნულება	შენიშვნა	დაცვის თანამშრომლის ხელმოწერა
		დასახელება	სახ. ნომერი	მესაკუთრე	მძღოლი			